28/05/2024

MES 3 24 0000585833

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 13 მაისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:
კახა შენგელია - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
მიხეილ გურგენიძე - შპს "ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" ასისტენტ-პროფესორი, სხდომის მდივანი;
ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს "საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს" პროფესორი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლეევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ნათია ზედეგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ემილ ავდალიანი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" პროფესორი;

სალომე კუჭუხიძე - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
თამარი ოსელიანი - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

- *ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი*
- *ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარის სპეციალისტი*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი:

- გიორგი ცხვედიანი - რექტორი
- ანი ქვათაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- ლეილა ახვლედიანი - დეკანი

შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი:

- შალვა პეტრიაშვილი - რექტორი
- ავთანდილ გაგნიძე - ვიცე-რექტორი
- თეიმურაზ ხუროძე - კანცლერი
- ნინო შარაშენიძე - მედიცინის სკოლის დეკანი
- ხათუნა საგანელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
- ლანა ბოკუჩავა - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
- ლელა ვანიშვილი - საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი:

- აკაკი ჭელიძე - რექტორი;
- დიმიტრი გეგენავა -პრორექტორი;
- ნათია შეყილაძე - კანცლერი;
- ნინო წიქვაძე- ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
- თამთა თავართქილაძე - ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი;
- თინათინ ფეიქრიშვილი - იურისტი;
- ანა გოგილაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი;
- მზია ჯამაგიძე - აკადემიური კვლევის დაგეგმვის და განვითარების მენეჯერი;
- ვაჟა ვარდიძე - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
- გიორგი გორაძე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
- თამარ ქობულაძე- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- თამთა მიქაბერიძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
- ჯილდა შეიჭვილი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

- გოჩა ბარნოვი - თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ზაზა ცოტნიაშვილი (I საკითხი)
- ირინე ფხაკაძე (I საკითხი)
- ციცინო თურქაძე (I საკითხი)
- დავით ტეფნაძე(I საკითხი)
- ია ნაცვლიშვილი (II, (III საკითხი)
- ია მოსაშვილი (III საკითხი)
- ილია ბოცვაძე (III საკითხი)
- ნინო ზარნაძე (III საკითხი)
- დავით კაკიაშვილი (III საკითხი)

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.
2. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.
2. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

3. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი

1. პირველი საკითხი: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტი ზაზა ცოტნიაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და თავმჯდომარეს. მან განმარტა, რომ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 5 მარტის შესაბამისი ბრძანების თანახმად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმში" ვიზიტის განხორციელება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით საკითხის შესწავლა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 13-14 მარტს. ვიზიტი წარიმართა პირისპირ ფორმატში, ჰიბრიდული სესიებით. საჭიროებიდან გამომდინარე დაწესებულებამ გასაუბრებაზე რამდენიმე თანამშრომელი online რეჟიმშიც წარმოადგინა. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა კოლეგიალური, საქმიანი, მშვიდი სამუშაო პროცესი.
ექსპერტის განმარტებით, დოკუმენტაციის გაცნობისა და ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გარემოებების შემოწმების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა შეუფერხებლად, დათქმულ ვადაში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით.

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ინსტიტუციას მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს მატერიალური რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით. უნივერსიტეტი ცდილობს, რომ შეარჩიოს კვალიფიციური კადრები, რათა სტუდენტებს მიეცეთ მაღალტექნოლოგიურ სივრცეში განათლების მიღების შესაძლებლობა.

ასევე ზაზა ცოტნიაშვილმა ყურადღება გაამახვილა, რომ ინსტიტუტის პირველ სტრატეგიულ მიმართულებას, ასევე დაემატა ამოცანა, შრომის ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი მიმართულია, კონსორციუმის ფორმატით თანამშრომლობისკენ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ფონდ „კურაციოსთან“ ერთად საგრანტო დაფინანსებით განახორციელოს პროექტები, რომლის მიზანია საქართველოს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ კომპანიებში დასაქმებული პერსონალის სამუშაოს საჭიროებათა კვლევა და შესაბამის საჭიროებებზე რეაგირების მოკლევადიანი და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება.

ექსპერტის თქმით უნივერსიტეტმა გააფართოვა რეგიონალური პარტნიორობა სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ დაწესებულებებთან. ასევე, სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული. შესაბამისად, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.

დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა საგამოცდო პროცედურების მოდიფიცირებისა და საკონტაქტო საათების შემცირებასთან დაკავშირებული რჩევები. პროგრამები ასევე შეფასებულ იქნა პარტნიორი - სტამბულის უნივერსიტეტის გუნდის მიერ, რომლის შედეგადაც განხორციელდა რიგი ცვლილებები. ამასთანავე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა მედიცინის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სამწლიანი ანგარიში.

ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები. ხდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და თვითშეფასება ასევე, პერსონალის გადასამზადებლად ტარდება ტრენინგები.

ექსპერტთა მიერ ჩატარებული ინტერვიუების პროცესში პერსონალმა დაადასტურა, ბოლო წლების განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით, ან/და ორგანიზებით პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში. ასევე, პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს წახალისებისა და სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს.

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს ჩაერთონ საერთაშორისო მობილობასა და პროექტებში. ამ მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას შესაბამისი გაცვლითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიზნით ბაუ-მ ევროპის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობებს Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არის სასწავლო უნივერსიტეტი, შესაბამისად, არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს. თუმცა, მედიცინის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამებზე მზადდება კვლევითი ნაშრომები, რომლებსაც ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პერსონალი. ადგილზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ნაშრომებს, რომლებიც მაღალი ხარისხისაა. უნივერსიტეტში არის ამ ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. ასევე, ახალი თანამედროვე სასწავლო

შენობის ექსპლუატაციაში შესვლამ უზრუნველყო სასწავლო შესაძლებლობების გაორმაგება და 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტით ორჯერ გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ფონდი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინსტიტუციის მისამართით გასცა 2 რეკომენდაცია და რჩევები. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდირებულია სამედიცინო ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტება სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის მომსახურების უზრუნველსაყოფად. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში უნდა დაემატოს „სტუდენტთა სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის“ თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრის ინდიკატორები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რჩევებიც. პირველი რჩევა ეხებოდა იმას, რომ კლინიკური სესიების მიმდინარეობა 25-30 სტუდენტის ნაცვლად შედარებით მცირე რაოდენობის ჯგუფებში განხორციელებულიყო. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე პირველ სასწავლო წელს იდენტური 60 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების პერმანენტული შეფასება ორივე პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში და მუდმივი მონიტორინგის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა. ასევე, სასურველია ღამის მორიგეობაზე სტუდენტის ობიექტურად შესაფასებლად დეტალურად გაიწეროს კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს ვალიდური და სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო პროცესში შესაბამისობაში იყოს სტუდენტის დატვირთვის წესთან. ექსპერტთა აზრით, სასურველია მეცნიერი თანამშრომლების მოზიდვა, რომლებიც მხოლოდ კვლევებით იქნებიან დაკავებულნი, რაც უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა მნიშვნელოვნად ჩათვალა, რომ უნივერსიტეტმა კონკრეტული კვლევითი პროექტები მეტი ინტენსივობით განახორციელოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით.

ექსპერტთა ჯგუფმა 3 შესაძლო შემთხვევიდან განსაზღვრა მეორე და ჩათვალა, რომ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე დაწესებულება მზად არის მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობა მიიღოს.
ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტის კალკულაცია შესრულებულია წელიწადში 36 კვირიან საკონტაქტო აქტივობებით, თუმცა, ამჟამად, 2023-2024 სასწავლო წელს უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარი გათვლილია 16 კვირიან სემესტრზე.
ასევე, ბაუ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 2022-2023 სასწავლო წელს დაემატა 17 პერსონალი. მათ შორის 1 ტუტორი და 3 სტუდენტ-მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სპეციალისტი. თუმცა, შემდგომ ბაუ-ს მიერ გაკეთებული განცხადებით გაზრდილია მოცემული პერსონალის რაოდენობა, თუმცა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კალკულაცია არ არის გაწერილი 2020-2023 წლებში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის პროპორციულად. შესაბამისად, ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი შეზღუდული იყო დაედგინათ, რამდენად მოხდებოდა სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში ყველა სერვისის მიწოდება, სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის, გიორგი ცხვედიანის თქმით, ბევრი ასპექტის გათვალისწინებით შეფასდა უნივერსიტეტი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები სრულად იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი. ასევე, პროცესების შესახებაც დაისვა კითხვები, შეფასება სიღრმისეული იყო და მოიცვა ყველა ასპექტი.
დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო იმ რეკომენდაციებს, რომლებიც გააჟღერა ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა, დაეთანხმა მათ და აღნიშნა რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, ასევე მზადყოფნას გამოთქვამენ სტომატოლოგიის სასწავლო კომპონენტის შეფასების საკითხზეც, რადგან სტომატოლოგიის პროგრამის 3 წლიანი ანგარიში მიმდინარე წლის ზაფხულს დაწესებულებამ აკრედიტაციაზე უნდა წარადგინოს. რაც შეეხება კლინიკური კურაციოს მენტორებსა და ექიმებს, დაწესებულებამ მოცემული რეკომენდაცია მიიღო ანალოგიური მონიტორინგის დროს და ეთანხმება მას. ინსტიტუციამ შეიმუშავა კლინიკური პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელმძღვანელო.
საბოლოოდ, რაც შეეხება სტუდენტებისა და ადმინისტრაციის პერსონალის პროპორციულობას, დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციასაც ითვალისწინებს კალკულაციის ნაწილში. მოცემული საკითხის კონტროლს ის აქამდე ახორციელებდა სამუშაო დატვირთვის ანალიზით. პერიოდულად ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ახდენს სხვადასხვა დეპარტამენტის მიმდინარე ოპერაციული საქმიანობის მოცულობის შეფასებას, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტი განსაზღვრავს არის თუ არა ფუნქციების შეცვლის, ადამიანური რესურსის დამატების ან სხვაგვარი ცვლილების შეტანის საფუძველი.
რაც შეეხება ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის ცვლილებას, მოცემული საკითხის შესახებ წინა ზაფხულს შეიტანა დაწესებულებამ კონტინგენტის გაზრდაზე განაცხადი და შესაბამისად პერსონალის სტატისტიკა წარმოდგენილი იყო 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ვიზიტი განხორციელდა მარტში და 10-ით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. ასევე, გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
აბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა შეფასდა თუ არა აფილირებული პროფესორების რაოდენობა და იყო თუ არა მოცემული რაოდენობა საკმარისი პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისთვის.
ზაზა ცოტნიაშვილის განცხადებით მოცემულ ეტაპზე 288 პერსონალია დასაქმებული ინსტიტუციაში, აქედან აკადემიური-35, მოწვეული-200, ადმინისტრაციული-53. აკადემიური პერსონალიდან პროფესორი-7 , ასოცირებული პროფესორი-8, ასისტენტ პროფესორი-9 , ასისტენტი-11. აფილირებული აკადემიური პერსონალიდან პროფესორი არის-5 , ასოცირებული პროფესორი-5, ასისტენტ-პროფესორი-8 და ასისტენტი-10. შესაბამისად, ექსპერტის აზრით იმის მიუხედავად, რომ აფილირებული პერსონალის რაოდენობა არ არის დიდი, ბაუ-ს არანაირი პრობლემა არ აქვს ადამიანურ რესურსში.
აბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ 2 შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. პირველი კითხვა ეხებოდა კლინიკური სესიები დროს სტუდენტთა რაოდენობას, რადგან გაიანე სიმონიას თქმით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს 12-15, როდესაც ბაუ-ს სესიებზე ჰყავს 25-30 სტუდენტი და რა სტრატეგია აქვს უნივერსიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით. მოცემული საკითხი საბჭოს წევრის აზრით მნიშვნელოვანია, რადგან 25-30 სტუდენტი კლინიკური სწავლებისთვის ბევრია და აღნიშნული გავლენას მოახდენს ხარისხზეც.
რაც შეეხება მეორე შეკითხვას, გაიანე სიმონიამ მიმართა როგორც დაწესებულებას, ისე ექსპერტთა ჯგუფს, კერძოდ, სტუდენტის მორიგეობა რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს, რადგან მორიგეობისას იშვიათად არის ხელმძღვანელი წარმოდგენილი და მოცემული წარმოადგენს ნახევრად დამოუკიდებელ სამუშაოს.

დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ მოცემული სამედიცინო სესიები ეხებოდა სიმულაციურ სწავლებებს, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტში, ხოლო კლინიკურ პრაქტიკებზე ჰყავთ 6-8 სტუდენტი. რაც შეეხება მეორე კითხვას, მან განმარტა რომ სტუდენტის შეფასება მთელი ღამის განმავლობაში ვერ მოხდება და მოცემული საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარი განაგრძო დაწესებულების წარმომადგენელმა ლეილა ახვლედიანმა. ისი თქმით, ბაუ-ს არ ჰყავს არც ერთი 25-30 სტუდენტიანი ჯგუფი კლინიკურ სწავლებებზე, მაქსიმუმ 2-8 კაციანი ჯგუფი - მოცემული დამოკიდებულია დეპარტამენტებზე. რაც შეეხება მეორე კითხვას, მისი განმარტებით, ღამის მორიგეობაში სტუდენტების შეფასება ხდება 360 გრადუსიანი შეფასებით, ასევე შეფასებაში უნივერსიტეტს ჩართული ჰყავს მორიგე ექიმები, რომლებიც ეხმარებიან ინსტიტუციას სტუდენტების შეფასებაში.

აბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ ექსპერტებს მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით. მან განიხილა მეოთხე სტანდარტთან მიმართებით წარმოდგენილი რეკომენდაციის არსი. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ერთი მხრივ კლინიკური კურსების განხორციელება მხარდაჭერილი არის შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური რესურსით და მეორე მხრივ, რეკომენდაცია ითხოვს, რომ დაზუსტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა ექსპერტ ირინე ფხაკაძეს სთხოვა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა. ირინე ფხაკაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და ინსტიტუციის წარმომადგენლებს. აღნიშნულ შეკითხვასთან დაკავშირებით მან დააზუსტა, რომ კლინიკური კომპონენტების განხორციელების პროცესში საკონტაქტო/სააუდიტორიო საათები მოიცავს სალექციო შეხვედრებს, კლინიკურ სესიებს. მოცემული სესიები და თეორიული სწავლებები ძირითადად ხორციელდება აკადემიური პერსონალის ან მოწვეული, დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ, სწორედ მათი კომპეტენცია და კვალიფიკაცია იქნა დადასტურებული და შეფასებული ექსპერტების მიერ. მისი განმარტებით, რეკომენდაცია ეხება არა თერაპიის თუ ქირურგიის კლინიკური დისციპლინების წამყვანი აკადემიური პერსონალის თუ დარგის სპეციალისტების კომპეტენციას, არამედ კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელებს. ექსპერტმა დააზუსტა, რომ რეკომენდაციაში კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობაზე და საკვალიფიკაციო მოთხოვნებზეა საუბარი. კითხვაზე, სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში იქნებოდა თუ არა კლინიკური პრაქტიკის ხელმძღვანელების პროპორციული რაოდენობა მან განაცხადა, რომ თუკი ეს მონაცემები ამ დროისთვის უნივერსიტეტს უკვე დაზუსტებული აქვს, ვიზიტის ფარგლებში არ ჰქონდა დაზუსტებული სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პროპორციულად პრაქტიკული კურსის ხელმძღვანელთა რაოდენობა და კვალიფიკაცია.

ნათია ზედგინიძემ ისევ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ირინე ფხაკაძეს, ის დაინტერესდა თუ რა პრობლემები იკვეთებოდა პრაქტიკული კურსის ხელმძღვანელების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით, ირინე ფხაკაძემ გამოკვეთა საკვალიფიკაციო შეფასებისას ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება. მისი განცხადებით, აღნიშნული მნიშვნელოვანია რომ კლინიკის ბაზებზე პერსონალმა სტუდენტებთან, გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში იმუშაოს ინგლისურ ენაზე.

აბჭოს წევრი, ლევან მიდოდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს და უკანასკნელს მიმართა კითხვით. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის თაობაზე დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო კალკულაცია სალექციო აუდიტორული რესურსების თაობაზე, აქ იკვეთება რომ რესურსები საკმარისია 1049 სტუდენტისთვის. მას აინტერესებდა, რამდენად კორექტული იყო მოცემული გათვლა და იქნებოდა თუ არა აუდიტორიები ზღვრულად შევსებული.

აღნიშნულ კითხვას უპასუხა გიორგი ცხვედიანმა. მან განმარტა რომ მაგალითად, სტომატოლოგიის კურსზე, სადაც მიღება არ იქნება 30 სტუდენტზე მეტი, ამ პროგრამის

სტუდენტებისთვის არ აქვთ გათვლილი 100 კაციანი აუდიტორია და გამოყენებულ აქვთ ერთი აუდიტორია. აქიდან გამომდინარე, გიორგი ცხვედიანის აზრით, ინსტიტუციას დაცული აქვს მოცემული პრინციპი. მან ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ დაწესებულებას ჰყავდა ბევრი ტრანსფერი სტუდენტი, ანუ ერთი კურსის სტუდენტი არ გადიოდა მხოლოდ ამ კურსის კონკრეტულ საგნებს, რადგან ნაწილი საგნები აღიარებული იყო უნივერსიტეტის მიერ. ასევე, სამედიცინო პროგრამაზე საგნის ვერ ჩაბარების მაჩვენებელი არ იყო დაბალი. ამიტომ, მოსალოდნელი იყო მესამე კურსელების შეჭრა მეორე კურსელებთან. მისი განცხადებით, მოცემული უნივერსიტეტმა გაითვალისწინა.

ლევან მიდოდაშვილმა დააზუსტა თავისი კითხვა. ისი კითხვა ეხებოდა წლიურად 150 სტუდენტის მიღებას და რამდენად შესაძლებელი იყო მათი ისე გადანაწილება ლექციებზე, რომ 100 კაციანი აუდიტორიები ზღვრულად ყოფილიყო შევსებული. 100-ის ჯერადი, რომ ყოფილიყო წლიურად მიღებული სტუდენტების რაოდენობა, მაშინ თავისუფლად მოხდებოდა სტუდენტების აუდიტორიებში გადანაწილება. ლევან მიდოდაშვილის აზრით, ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტის გათვლა იქნებოდა კორექტული.

გიორგი ცხვედიანის განცხადებით, სტუდენტთა წლიური რაოდენობის მიღება არ არის რეგლამენტირებული, ეს არის მოსალოდნელი რაოდენობა. მისი თქმით, უნივერსიტეტმა მოცემული ციფრი ანუ 150 გათვალა მარკეტინგული მოლოდინებით, მათ შორის პოტენციური სტუდენტების ინტერესის რაოდენობიდან გამომდინარე.

გაიანე სიმონიამ ყურადღება გაამახვილა ნათია ზედგინიძის კითხვაზე. მისი თქმით, ინგლისურენოვან პროგრამებზე ძალიან კონკრეტულად არის გაწერილი თუ რა მოთხოვნები და კვალიფიკაციაა საჭირო და რა პირობები უნდა დააკმაყოფილოს უნივერსიტეტმა. რაც შეეხება ზედამხედველს საუნივერსიტეტო კლინიკაში, ძირითადად არიან მოწვეული ან აკადემიური პერსონალი, რომლებიც იგივე კვალიფიკაციის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. მისი აზრით, არ შეიძლება სწავლება განხორციელდეს კლინიკაში იმ ექიმის მიერ, რომელსაც არანაირი პედაგოგიური სტაჟი, კვალიფიკაცია და ენის ცოდნა არ აქვს.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში ჩაწერა, რომ ინსტიტუცია მზად იყო მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობით განესაზღვრა კონტინგენტი და აინტერესებდა დაახლოებით რა იყო ის რაოდენობა, რომელის დაკმაყოფილებასაც ინსტიტუცია სრულყოფილად და სწორად შეძლებდა.

ზაზა ცოტნიაშვილის განცხადებით, ადრე იყო გარკვეული ფორმულა და ამ ფორმულის მიხედვით ხელმძღვანელობდნენ უნივერსიტეტები, რომ განესაზღვრათ კონტიგენტები. მისი განმარტებით, დღეს ეს ფორმულა აღარ არის, თუმცა უნივერსიტეტს აქვს მეთოდოლოგია. ვინაიდან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა არ არის გაწერილი სტუდენტებთან, ამიტომ ექსპერტის განცხადებით ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაედგინა, რამდენად მოხდებოდა სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თუმცა, მან განმარტა, რომ დაწესებულება არის განვითარებაზე ორიენტირებული და ზრუნავს რომ ჰყავდეს კვალიფიციური სპეციალისტები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 14:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 980-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე- 14
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 980-ით.

2. მეორე საკითხი: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტი ია ნაცვლიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა 2023 წლის 21 ნოემბერს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. მისი თქმით ავტორიზაციის ჯგუფს ამ ბრძანებით დაევალა შეეფასებინათ ცალკეული სტანდარტები, კერძოდ 2.1 სტანდარტი- „ორგანიზაციული

სტრუქტურა და მართვა“, 3.3 სტანდარტი - „სასწავლო შედეგების შეფასება“, 4.2 - სტანდარტი „აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა“, 5.1 სტანდარტი - „სტუდენტთა სტატუსის მოპოვება შეცვლა განათლების აღიარება სტუდენტთა უფლებები“, 6.2 სტანდარტი - „კვლევის მხარდაჭერა ინტერნაციონალიზაცია“ და 7.1 სტანდარტი- „მატერიალური რესურსი“. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე, ვიზიტის ფარგლებში დასჭირდათ დოკუმენტების გამოთხოვა, რაც დაწესებულებამ სრულად და დაუყოვნებლივ წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებასთან თანამშრომლობა იყო კეთილგანწყობილი და კომფორტული.

2.1 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 5 რეკომენდაცია და გამოკვლევის შედეგად დადგინეს, რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია. 3.3 სტანდარტიდან გამომდინარე გაცემული იყო 12 რეკომენდაცია, რომლებიც სრულად შესრულებულად ჩათვალეს, 4.2 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო 1 რეკომენდაცია და ექსპერტებმა მოცემული რეკომენდაცია ჩათვალეს შესრულებულად, 5.1 სტანდარტის ფარგლებში გაცემული იყო 5 რეკომენდაცია, რომელიც ასევე შეასრულა დაწესებულებამ. ექსპერტმა გამოყო 6.2 სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც გაცემული იყო 5 რეკომენდაცია, რომელთაგან უმეტესობა შესრულებული ჰქონდა დაწესებულებას ,რადგან 2 რეკომენდაცია მიმდინარე პროცესი იყო და ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა ,რომ მოცემული სტანდარტი მეტწილად შესრულებული იყო. ასევე, გასცეს რეკომენდაცია, რომელიც კავშირში იყო 6.2 სტანდარტში ჯერ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან. ექსპერტის თქმით, ახალი რეკომენდაციები უფრო პერიფრაზის სახით იყო წარმოდგენილი. საბოლოოდ, 7.1 სტანდარტში გაცემული იყო 6 რეკომენდაცია, რომლებიც ექსპერტებმა ჩათვალეს სრულად შესრულებულად.

ასევე ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ დაწესებულება არის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს ერთ (მედიცინის) საგანმანათლებლო პროგრამას. სასწავლებლის გამოკვლევის დროს წამყვანი ექსპერტი იყო თინათინ გოგნაძე, რომელიც მედიცინის მიმართულებით დარგის ექსპერტია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავთანდილ გაგნიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის. მან მოკლედ გაამახვილა ყურადღება კვლევების მხარდაჭერაზე. მისი განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ დაწესებულება არის სასწავლო, მათთვის მნიშვნელოვანია კვლევებიც. მისი თქმით, თანხები იყო განსაზღვრული შესაბამისი კვლევებისთვის და ბიუჯეტშიც იზრდება კვლევებისათვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა. თუმცა ინსტიტუციამ გაიზიარა ექსპერტების შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მიუხედავად ბიუჯეტში კვლევებისთვის გამოყოფილი თანხების ზრდისა, პროცენტულად სრულ ხარჯებთან მიმართებით მაინც არ ჩანდა მოცემული მიზნისთვის გამოყოფილი თანხის გამოყენება. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს ისეთი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სრული ხარჯიდან კვლევებისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა იყოს 3%-ზე ნაკლები. შემოწმებისას კი დაფიქსირდა 2.7%, რასაც დაწესებულება აღიარებს, რომ არის ცდომილება. თუმცა ყურადღება ისევ გაამახვილა, რომ ბიუჯეტში კვლევებისთვის გამოყოფილი თანხა გაზრდილია. დაბალი პროცენტის მიუხედავად დაწესებულებამ წინა წელთან შედარებით მეტი დახარჯა კვლევებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა რომ დადგენილი 3% იქნება მინიმუმი რასაც დაწესებულება გაიღებს კვლევებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ კვლევების შესახებ გაკეთებული ახსნა-განმარტება არ გამომდინარეობდა რეკომენდაციიდან, არამედ ეს წარმოადგენდა უბრალო რჩევას ექსპერტებისგან.

საბჭოს წევრმა ლევან მიდოდაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით 3.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მოცემული რეკომენდაცია მოიცავს 2 პუნქტს. ერთი მხრივ რეკომენდირებულია დამსაქმებლების მეტად ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში და მეორე მხრივ რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები. მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების წინაპირობები დაიხვეწა, მაგრამ არ იყო ინფორმაცია დამსაქმებლების ჩართულობაზე პროგრამის შემუშავებაში.
ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ დარგობრივმა ექსპერტმა ნახა და დეტალურად გამოიკვლია 3.3 სტანდარტის თორმეტივე რეკომენდაცია. ასევე, სხვა ექსპერტებმაც პანელზე გასაუბრების დროს, შეხვედრების მიმდინარეობის პროცესში, როგორც დაწესებულებასთან, ასევე პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან, მოცემული რეკომენდაციის შესრულება დადასტურდა და გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები მართლაც ჩართულები იყვნენ ამ პროცესში. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ ალადაშვილის კლინიკა არის მოცემული უნივერსიტეტის საკუთრებაში, არის პოტენციური დამსაქმებელი და მათ ბაზაზე ხორციელდება პრაქტიკის შესწავლა და ცხადია ისინი სრულად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ 3.3 სტანდარტი სრულად იყო დაკმაყოფილებული. რაც შეეხება სასწავლო კურსის წინაპირობებს, ექსპერტის თქმით, ეს საკითხი შეისწავლა დარგის ექსპერტმა, თინათინ გოგნაძემ. შესაბამისად, ყველა ექსპერტი დაეთანხმა მის მიერ დადებულ დასკვნას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:59
დასრულების დრო: 15:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტისათვის დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 24-ე ე პუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს განესაზღვრა 1 წელი დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად.

3. მესამე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ია მოსაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 4-5 დეკემბერს, შემდეგი ესპერტების მონაწილეობებით: ია ნაცვლიშვილი, ილია ბოთვაძე, ნინო ზარნაძე და სტუდენტი-ექსპერტი დავით კაკიაშვილი. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა, როგორც ის გარემოებები, პირობები და შედეგები, რომლებიც უნივერსიტეტს დაუდგა 2021 წლის ავტორიზაციის შედეგად, ასევე მათ მიერ იქნა შემოწმებული თუ რა პროგრესი განიცადა დაწესებულებამ ყველა სტანდარტთან მიმართებით მოცემულ პერიოდში. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადაცემულ დასკვნაზე. შესაბამისად, ექსპერტებს იგივე სახით ჰქონდათ წარმოდგენილი დასკვნა საბჭოზე.
ექსპერტის თქმით, 2021 წლის ავტორიზაციის დროს ექსპერტებმა ინსტიტუციის მიმართ გასცეს 48 რეკომენდაცია, ინსტიტუციამ საკმაოდ დიდი შრომა გასწია რეკომენდაციების შესასრულებლად. შესაბამისად, 2023 წლის ავტორიზაციის დროს ექსპერტებმა გასცეს მხოლოდ 1 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ რამდენიმე რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, მაგრამ ამის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფი დადებითად იყო განწყობილი დაწესებულების მიერ ამ რეკომენდაციების შესრულების ხარისხის გამო. რეკომენდაციაში იკითხებოდა რომ „უნივერსიტეტმა უარი უნდა თქვას სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი სასწავლო უნივერსიტეტია, ძალზედ ნაადრევია ასეთი ნაბიჯის გადადგმა.“ მოცემული წარმოადგენდა ძირითად რეკომენდაციას. ექსპერტის თქმით, მათ დასკვნაში ჩაწერეს, რომ რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, თუმცა 2021 წლის ავტორიზაციისას დაწესებულებას მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი, შესაბამისად უფლება ჰქონდა განეხორციელებინა სადოქტორო პროგრამები. დღეისათვის, ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს 3 სადოქტორო პროგრამას, ეს პროგრამებია: სამართლის, თეოლოგიის და საჯარო მმართველობის. შესაბამისად, ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ მოცემული რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, თუმცა მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს მოცემულ პროგრამებს.

ექსპერტის თქმით, მსგავსი შინაარსის იყო რეკომენდაცია 3.2.2. რომლის მიხედვითაც, თუ უნივერსიტეტი განახორციელებს სადოქტორო პროგრამებს, მაშინ ეს პროცესი უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი. ამ რეკომენდაციის შესახებ ექსპერტებს იგივე პასუხი აქვთ რაც პირველ რეკომენდაციაზე, რომ მართალია დაწესებულებას არ აქვს რეკომენდაცია შესრულებული, თუმცა მოცემული სადოქტორო პროგრამები უნივერსიტეტს აქვს აკრედიტებული.
შემდგომი რეკომენდაცია ეხებოდა გამოცდების ჩატარების ფორმას, კერძოდ, გამოცდები ჩატარდეს ანონიმურ ფორმატში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წერითი გამოცდისას ადვილია ანონიმურობის დაცვა, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მესამე ბრძანებითა და თვითონ დაწესებულების სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტმა გამოცდა ჩაატაროს ზეპირი ფორმით, რომლის დროსაც ანონიმურობის დაცვა შეუძლებელია. შესაბამისად ექსპერტებმა დასკვნაში ჩაწერეს, რომ რეკომენდაცია არ იყო შესრულებული თუმცა, გარემოებებიდან გამომდინარე მოცემულ შედეგს არ მიიჩნევენ უარყოფითად.
ია მოსაშვილის განცხადებით დანარჩენი რეკომენდაციები დაწესებულების მიერ სრულად და ერთი რეკომენდაცია მეტწილად არის შესრულებული. უკანასკნელი ეხება იმ მოთხოვნას, რომ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანახელმძღვანელობის სქემით, რათა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობისა და კვლევითი ნაშრომების ხარისხი. მოცემულ საკითხთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი ვიზიტის დროს საჯარო მმართველობის პროგრამაზე მიმდინარეობდა პროცესი, რომ ერთობლივად განხორციელებულიყო მოცემული პროგრამა და როგორც ინსტიტუციამ აღნიშნა, თანხმობა პარტნიორი დაწესებულებისგან მიღებული ჰქონდათ, თუმცა ეს პროცესი იყო მიმდინარე. შესაბამისად მოცემული არის ის რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა მისცეს უნივერსიტეტს, ანუ 2021 წლის ერთი რეკომენდაცია დატოვეს ძალაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის რექტორი მიესალმა საბჭოს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. დიმიტრი გეგენავამ წარმოადგინა დაწესებულების პოზიცია. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი და საინტერესო მუშაობისთვის. მისი თქმით მონიტორინგი განპირობებული იყო იმ მიზეზით, რომ ისინი იყვნენ იმ გამონაკლისი უნივერისტეტების სიაში, რომლებმაც ბოლო 15 წლის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტიდან სტატუსი შეიცვალა უნივერსიტეტზე. შესაბამისად მისი აზრით, ავტორიზაციის საბჭომ სწორად მიიჩნია, რომ დოქტორანტურის დამატებისა და კვლევითი კომპონენტის გაძლიერების ნაწილზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ სურვილი დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისმიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 13 მაისის 15:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა